სიყვარულის მეტაფორები და მათი კოგნიტური რეპრეზენტაცია პოეტურ დისკურსში (ინგლისურენოვან და ქართულ ლექსებზე დაყრდნობით)

ნინო აბრამიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ანგლისტიკაში ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სამაგისტრო პროგრამა: ანგლისტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო თევდორაძე
ფილოლოგიის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2024

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“

აბსტრაქტი

ნაშრომი შეისწავლის კოგნიტური მეტაფორიზაციის რეპრეზენტაციას ქართულ და ინგლისურენოვან პოეტურ დისკურსში. ვინაიდან და რადგანაც, კონცეპტუალური მეტაფორების აღმოჩენის შემდეგ მეტაფორების სიღრმისეულად შესწავლამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა კოგნიტური მეცნიერებისა და ლინგვისტიკის ფარგლებში, ჩვენი სამაგისტრო ნაშრომი მთავარ მიზნად ისახავს მკაფიოდ წარმოაჩინოს არსებული განსხვავება ტრადიციულ მეტაფორის თეორიასა და კონცეპტუალური მეტაფორის თეორიას შორის, რომელიც ამერიკელმა კოგნიტივისტებმა ჯორჯ ლაკოფმა და მარკ ჯონსონმა შეიმუშავეს. კონცეპტუალური მეტაფორის თეორიის დახმარებით, ჩვენი მიზანია კოგნიტური (კონცეპტუალური) მეტაფორის კვლევა ლიტერატურული დისკურსის ფარგლებში, კერძოდ კი „სიყვარულის“ მეტაფორების კოგნიტური რეპრეზენტაციის კლასიფიცირება და ანალიზი ინგლისურენოვან და ქართულ პოეტურ ტექსტებში.

Abstract

This paper studies the phenomenon of cognitive metaphorization and their representation in Georgian and English poetic discourse. Since the in-depth study of metaphors has gained special importance in the field of cognitive science and linguistics after the discovery of conceptual metaphors, our master's thesis aims to clearly present the difference between the traditional metaphor theory and the conceptual metaphor theory developed by the American cognitivists George Lakoff and Mark Johnson. Relying on the theory of conceptual metaphor, we endevour to analyse cognitive (conceptual) metaphorization within the literary discourse, namely the cognitive representation of "love" metaphors, their classification and explanation in English and Georgian poetic texts.